საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში განსახილველად შემოვიდა პროექტი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შედგენა-შესრულების აუდიტის ანგარიში, სადაც დეტალურადაა აღწერილი ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების გეგმიური და ფაქტიური შესრულება კერძოდ:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11017,4 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 13456,1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 122,1%.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 10065,3 ლარი ფაქტიურად 12552,3 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 124.7% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 1581,7 ათასი ლარი, გეგმის 1100.0 ათასი ლარის 143,7% -ს შეადგენს.

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 11017,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 10706,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.2%-ია. ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 7307,6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა 7217,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98,8%-ია. არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3627,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა 3407.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.9%- ია.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვტა 3651,1 ატასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3641,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,7%-ს შეადგენს. ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 2133,6 ათასი ლარი, რაც გეგმის მაჩვენებლის (2144,9 ათასი ლარი) 99,5%- ს შეადგენს.

სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 569,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 566,3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99,5%, მათ შორის:

2017 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამგებლის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო გამოყოფილია 50,0 ათასი ლარი.

ფაქტიურად გახარჯულია 48,8 ათასი ლარი (97,6%)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა 1844,3 ათასი ლარი;

კომუნალური ინფრასტუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 785,5 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის კეთიმოწყობის ღონისძიებები 883,4 ათასი ლარით;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 1,0 ათასი ლარი;

სტიქიის შედეგების საკვალიფიკაციო ღონისძიებები 1458,3 ათასი ლარით;

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და განვითარება 12,6 ათასი ლარი;

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 1044,9 ათასი ლარი;

ზოგადი განათლების დაფინანსება 57,6 ათასი ლარი;

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი 104,8 ათასი ლარი;

საჯარო მომსამსახურეთა გადამზადების პროგრამა 12,2 ათასი ლარი;

სპორტული ობიექტების დაფინანსება 587,3 ათასი ლარი;

კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა 984,5 ათასი ლარი,

კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა 4,8 ათასი ლარი;

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა 30,1 ათასი ლარი;

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 10,0 ათასი ლარი;

საზოგადოებრივი ჯანდაცვა 81,9 ათასი ლარით;

დაკრძალვის ხარჯები 1,0 ათასი ლარით;

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება 81,6 ათასი ლარით;

ლტოლვილთა დახმარება 10,9 ათასი ლარით;

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება 22,8 ათასი ლარით;

სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება 341,1 ათასი ლარით;

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 108,9 ათასი ლარით.

საფინანსო კომისიამ იხელმძღვანელა წარმოდგენილი პროექტით და შპს აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტი“-ს მიერ წარმოდგენილი მასალებით და დაასკვნა, რომ 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარმოდგენილია სრულად,

რაც შეეხება აუდიტის მიერ წარმოდგენილ შენიშვნა-რეკომენდაციებს: ინვენტარიზაციასა და ა(ა)ი.პ-ში ბუღალტრული ანგარიშგებაში ხარვეზების შესახებ, აუცილებლად მერიისა და მის მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების შესაბამისმა სამსახურებმა და პასუხისმგებელმა პირებმა კანონის შესაბამისად უნდა მოახდინონ დაშვებული ხარვეზების გამოსწორება.